



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

### დისციპლინური საქმე №78/17

-- 2017 წლის 05 მაისის №78 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №78/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის -- 2017 წლის 21 მარტის განაჩენით მსჯავრდებული -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

-- შეფასებით, საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლე -- არაჯეროვნად და ეთიკის ნორმების დარღვევით შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, კერძოდ:

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სასამართლომ არ გაიზიარა -- ჩვენება. სასამართლომ დაცვის მხარეს არ მისცა შესაძლებლობა ესარგებლა საქართველოს სსსკ 239-ე მუხლით დადგენილი წესით და არ დააკმაყოფილა ახალი მტკიცებულებების საქმეზე დართვის

შუამდგომლობა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ განაჩენში არასწორად განმარტა მოწმე -- ჩვენება. ასევე, არ ეთანხმება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ნაწილს, რომელიც ასახულია 2017 წლის 21 მარტის განაჩენში.

-- საჩივარში უთითებს, რომ მოსამართლემ --დაცვის მხარეს არ მისცა საკმარისი დრო დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად, რითაც დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.

საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება -- სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნის ფაქტს და განმარტავს, რომ მოსამართლის ქმედება უსაფუძვლო იყო.

## **2. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- 2017 წლის 05 მაისის №78 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

## **3. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ქ. თბილისის -- რაიონული პროკურატურის პროკურორ -- 2016 წლის 27 ივნისის დადგენილებით -- ბრალი დაედო საქართველოს სსკ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე 3 ნაწილის „გ“ ქ/პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

2016 წლის 20 სექტემბერს, ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა მოსამართლე --

2017 წლის 10 მარტს, დაიკითხა ბრალდებული -- და მხარეებმა ბრალდებულის დაკითხვით დაასრულეს მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი. სასამართლომ ამავე სხდომაზე მხარეებს მიუთითა გადასულიყვნენ შემდეგ ეტაპზე და სასამართლოსთვის წარედგინათ დასკვნითი სიტყვები. დაცვის მხარის წარმომადგენელმა - ადვოკატმა -- სასამართლოს განუცხადა, რომ იგი არ იყო მზად დასკვნითი სიტყვისთვის. ამავედროულად, ბრალდებულის ჩვენებიდან გამომდინარე მას სასამართლოს წინაშე ექნებოდა გარკვეული შუამდგომლობები მოსამზადებელი, რისთვისაც ესაჭიროებოდა დრო. მოსამართლე -- გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია და სხდომა გადადო 2017 წლის 13 მარტს 17:00 საათზე.

2017 წლის 13 მარტს ადვოკატმა -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და საქართველოს

სსსკ 239-ე მუხლიდან გამომდინარე, ითხოვა ახალი მტკიცებულებების გამოთხოვა და საქმეზე დართვა. მოსამართლემ -- არ დააკმაყოფილა წარმოდგენილი შუამდგომლობა და განმარტა, რომ შუამდგომლობა მიმართული იყო პროცესის გაჭიანურებისკენ. მოსამართლის შეფასებით, დაცვის მხარემ სასამართლოს არ წარუდგინა ისეთი ფაქტები, რომლის წარმოდგენაც მანამდე არ შეეძლო.

ამავე სხდომაზე, ანუ 2017 წლის 13 მარტს, სასამართლო გადავიდა დასკვნითი სიტყვების ეტაპზე. ბრალდების მხარემ სასამართლოს მოახსენა დასკვნითი სიტყვა, ადვოკატმა -- სასამართლოს განუცხადა, რომ იგი მზად არ იყო დასკვნითი სიტყვისთვის და მოსამართლეს სთხოვა გარკვეული დრო, რათა მოემზადებინა დასკვნითი სიტყვა. სასამართლო სხდომა გადაიდო და მომდევნო პროცესი ჩაინიშნა 2017 წლის 15 მარტს 10:00 საათზე.

2017 წლის 15 მარტს, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა -- განაცხადა, რომ საქმესთან დაკავშირებული სხდომის ოქმები სრული მოცულობით ჩაიბარა პროცესის დღეს (2017 წლის 15 მარტი), რის გამოც ვერ შეძლო დასკვნითი სიტყვის მომზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, -- კვლავ დააყენა შუამდგომლობა პროცესის გადადების შესახებ. ადვოკატმა ითხოვა 01 (ერთი) დღე დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად. მოსამართლემ სხდომა გადადო და მომდევნო სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 19 მარტს კვირა დღეს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოგვიანებით მოსამართლემ შეცვალა სხდომის თარიღი და ნაცვლად 19 მარტისა, სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 16 მარტს.

აღნიშნულის მიზეზად, მოსამართლემ განმარტა, რომ ვინაიდან 19 მარტი იყო უქმე (კვირა) დღე ვერ ხერხდებოდა პატიმრის ბადრაგირება, რის გამოც მოუწია სხდომის თარიღის შეცვლა.

2017 წლის 16 მარტის სასამართლო სხდომაზე, ადვოკატმა -- განაცხადა, რომ იგი მზად არ არის დასკვნითი სიტყვისთვის. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო პროცესის თარიღის შეცვლის შესახებ შეიტყო 15 მარტს, სამუშაო საათების შემდეგ, ამასთან ადვოკატმა განმარტა, რომ იგი მზად იქნება მხოლოდ 19 მარტისთვის. მოსამართლე -- არ გაიზიარა -- პოზიცია. მოსამართლის განმარტებით, მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების ეტაპიდან გასულია თითქმის ერთი კვირა, რაც საკმარისია იმისთვის, რომ ადვოკატს მოემზადებინა დასკვნითი სიტყვა. მოსამართლემ სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 17 მარტს 10:00 საათზე, ამასთან განუმარტა, რომ თუკი მითითებული დროისთვის არ მოამზადებდა დასკვნით სიტყვას, ბრალდებულს დაუნიშნავდა ადვოკატს სახელმწიფოს ხარჯზე.

2017 წლის 17 მარტს, სასამართლო სხდომაზე, არ გამოცხადდა ადვოკატი -- სხდომის მდივნის განმარტებით, მას დაუკავშირდა ადვოკატი -- და აცნობა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ გამოცხადდებოდა. სასამართლომ აღნიშნული ფაქტი მიიჩნია არასაპატიოდ. სასამართლოს შეფასებით, ადვოკატის გამოუცხადებლობა ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას. სასამართლომ ბრალდებულს დაუნიშნა ადვოკატი სახელმწიფოს

ხარჯზე და მომდევნო სხდომა ჩანიშნა 2017 წლის 21 მარტს 16:00 საათზე.

-- ინტერესების დაცვა დაევალა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატ -- .

საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ 2017 წლის 17 მარტს, ადვოკატმა -- გადაიღო მისთვის საჭირო მასალების ასლები და მიიღო სასამართლო სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერები, -- სისხლის სამართლის საქმეზე.

2017 წლის 21 მარტის სასამართლო სხდომაზე, სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატთან ერთად გამოცხადდა ბრალდებულის ადვოკატი --

ბრალდებულმა -- სასამართლოს წინაშე დააყენა სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის აცილების საკითხი და განაცხადა, რომ მას სურს საბოლოო სიტყვა თქვას მისმა ადვოკატმა --

მოსამართლე -- სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი -- გაათავისუფლა სხდომათა დარბაზიდან. ამავე სხდომაზე, ადვოკატმა -- სასამართლოს მოახსენა დაცვის დასკვნითი სიტყვა. ასევე ბრალდებულმა -- ისარგებლა საბოლოო სიტყვის თქმის უფლებით.

-- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- 2017 წლის 21 მარტის განაჩენით -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე 3 ნაწილის „გ“ ქ/პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლის ვადით.

#### **4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის

საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამოდენიმე მუხლზე, კერძოდ:

საქართველოს სსსკ 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის ამ კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს სსსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატ -- შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

მოსამართლე არის ის პირი, რომელიც არკვევს და თავისი შინაგანი რწმენით აფასებს მტკიცებულებების წარმოდგენლობის მიზეზს, ასევე ობიექტურად რამდენად შეუძლებელი იყო მსგავსი შუამდგომლობის დაყენება საქმის არსებითი განხილვის სხდომამდე.

ამდენად, მოსამართლე -- მხარის შუამდგომლობაში დასახელებული გარემოებები არ ჩათვალა შუამდგომლობის წარმოდგენლობის ობიექტურ მიზეზად. მოსამართლის შეფასებით შუამდგომლობა ემსახურებოდა პროცესის გაჭიანურებას. შესაბამისად, მოსამართლეს

საქართველოს სსსკ 239-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილიდან, 94-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, უფლება ჰქონდა არ დაეკმაყოფილებინა მხარის შუამდგომლობა.

საჩივრის ავტორის -- განმარტებით მოსამართლემ -- დაცვის მხარეს არ მისცა საკმარისი დრო დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად, რაც წინასწარი მოკვლევის შედეგად არ დადასტურდა.

საქმის მასალების დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მტკიცებულებების გამოკვლევის დასრულების ეტაპიდან ანუ მას შემდეგ რაც 2017 წლის 10 მარტს დაიკითხა ბრალდებული --, ადვოკატმა რამდენჯერმე, სხვადასხვა მიზეზით, იშუამდგომლა პროცესის გადადება. საბოლოოდ, მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულებიდან მე-7 დღე, 2017 წლის 17 მარტი, ადვოკატ -- განესაზღვრა ბოლო ვადად დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე მოსამართლის მხრიდან გაფრთხილებულ იქნა, რომ ადვოკატის ქმედებები მიიჩნეოდა პროცესის გაჭიანურებად და ბრალდებულს დაუნიშნავდა ადვოკატს სახელმწიფოს ხარჯზე.

2017 წლის 17 მარტს ადვოკატი -- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო არ გამოცხადდა, თუმცა აღნიშნულის შესახებ სასამართლოსთვის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგენია. სხდომის ოქმის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ -- მისი გამოუცხადებლობის შესახებ ტელეფონით აცნობა სხდომის მდივანს. მოსამართლე -- ადვოკატის გამოუცხადებლობა მიიჩნია პროცესის გაჭიანურებისკენ მიმართულ ქმედებად.

საქართველოს სსსკ 42-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ადვოკატი არასაკმარის მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით, რაც არ ზღუდავს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით. ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სურვილით მოწვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას.

მოსამართლემ იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე და 2017 წლის 17 მარტს ბრალდებულ -- დაუნიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე და მომდევნო სხდომა ჩანიშნა 2017 წლის 21 მარტს.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატს --- 2017 წლის 17 მარტს (სასამართლო სხდომამდე 04 (ოთხი) დღით ადრე) გადაეცა სისხლის სამართლის საქმის სხდომათა აუდიო ჩანაწერები, ასევე იგი გაეცნო საქმის მასალებს და გადაიღო საჭირო მასალების ასლები.

ამდენად, საქმეში გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საგულისხმოა, რომ დაცვის მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა მოემზადებინა დასკვნითი სიტყვა.

## **5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №78/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი**